# სამშობლო

წ. I 1915 წ.

სამშაბათი 24 თებერვალი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ... განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადებებს დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 19 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 19


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.

ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული აგზავნოთ შემდეგის ადრესით. ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“ თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს უფასოდ კვირა ექნება სურათებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

ვსთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ სურათები.

მოწვეულნი არიან ცნობილი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოცხადდება.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი. მოსკოვის ფირმის ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი.

ამხ-ბ „ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი“-ს

სამანიფაქტურო მაღაზიაში

მიღებულია და იყიდება დიდძალი ასარჩევი ახალ-მოდის საქონელი,

აბრეშუმეულობა,
შალეულობა,
მაუდეულობა
და ბამბეულობა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების კასტიუმებისათვის:

„საჟერდი—შიფონი“ „კრეპ—აბრიტინი“ და „კოტლე—ნოველი“ მანტოსათვის:

„ფაი—რენე“ და „ფაი—შიკ.“

აგრეთვე იყიდება ჩვენთან პროხოროვის ტრიოხგორნი მანუფაქტურის ნაწარმოები.

ფასები შეუდარებლათ



დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ ნ. ს. ჟორჟიკიას შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теорiи права“

Проф. Л. I. Петрожецкаго. ფასი 6 შაური



ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განახლდა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. სალამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)



ქუთაისის გუბერნიის თავად აზნ. წინამძღოლის თანამდ. ადმალეგელი თავადი გიგო ივ. ერისთავი აცხადებს, რომ კვირას 22 თებერვალს, თბილისში გარდაიცვალა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრი

თ-დ ვარლამ ლევანის ძე გელოვანი,

რომლის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადახდილი იქნება დღეს, 24 თებერვალს, ნაშუადღევის პირველ საათზე, საკათედრო ტაძარში.

1—1



ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

ძმათა პასხალიდის

აბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში; ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.

თ. 69.



კბილის მენადარიშვილი და ტრუშაექიმები. ნოვა. დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.



კვირას, 22 თებერვალს, გმირულათ დაიღუპა სახელმწიფო სათათბიროს წევრი

ვარლამ (კუჭიკო) გელოვანი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას განსვენებულის თანამოაზრენი.

1—1


## თავადი ვარლამ ლევანის ძე გელოვანი.

... კვლავ შესწყდა ერთი სიცოცხლე, კვლავ დადუმდენ საქართველოს მოსარჩლე, საქართველოისათვის მეტყველი ბაგენი!

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ მთელს ქვეყანას მოსდო სამწუხარო ამბავი:

**თბილისის საქალაქო საავათმყოფოში შავი სახადისაგან გარდაიცვალა სახელმწ. სათ. წევრი თავადი ვარ. გელოვანი.**

სხვებს, გარეშეებს, ეს ამბავი მხოლოდ უბრალო, ჩვეულებრივ მოვლენათ ეჩვენებათ და სისხლის წვიმებისაგან ათასობით წალეკილ მსხვერპლს ამ ერთსაც მიათვლიან, მაგრამ ჩვენთვის,—ქართველებისათვის—ეს სიკვდილი ერთი ორათა და ერთი სამათ საგრძნობელია.

ვარლამ გელოვანის ტრაგიკული და უდროო გარდაცვალება თვალ წინ გვიშლის მთელს ისტორიას მეცხრამეტე საუკუნის საქართველოისას, გვაგონებს ჩვენს რაობას, ამხილებს ჩვენს სინიდისს, გვამცნობს ჩვენს ბედშაობას, გვითვალისწინებს ჩვენს ავსა და კარგს და ნათლად, ცეცხლის ასოებით სწერს ჩვენს გულის ფიცარზე: **რანი ვართ და როგორები არ უნდა ვიყოთ...**

**ვარლამ გელოვანი!** ეს ის პიროვნება იყო, რომლის გარშემოც ტრიალობდა საქართველოს პოლიტიკური მრწამსი, ქართველი ერის გულისთქმა, ქართველი ხალხის სულის კვეთება.

ჩვენმა ამღელვარებულმა ცხოვრებამ მოულოდნელათ ამოისროლა იგი თავის წიაღიდან და გახადა იგი მიზნათ, ნიშნათ, ბაირაღათ ჩვენის ავ-კარგიანობისა, ჩვენის ზნეობრივ თუ გონებრივ ავლადიდებისა!

**ვარლამ გელოვანი!** ეს ის პიროვნება იყო, რომელმაც გამოააშკარავა ძალთა განწყობილება ჩვენში არსებულ პოლიტიკურ ჯგუფებისა და მთელის სიგრძე სიგანით დაგვანახა ნაკლი თუ ღირსება ამ ჯგუფების ურთიერთობისა, პოლიტიკური სიმწიფისა თუ მოუმწიფებლობისა.

**ვარლამ გელოვანი!** ეს ის პიროვნება იყო, რომელსაც ბედმა არგუნა ყოფილიყო „ზვარაკად განტევებისა“ და მდადეთ ჩვენის პოლიტიკურის გამოფხიზლებისა.

**ვარლამ გელოვანი!** ეს ის პიროვნება იყო, რომელსაც წილათა ხვდა დაენახვებინა მთელის ქვეყნისათვის ძალა თუ სიბეჩავე საქართველოის დღევანდელი დღის სიცხადისა...

ახლა, როდესაც შავი სენის შავი ჩრდილი გადაფარებია ვარლამის უდროოთ გაციებულ გვამს, როდესაც ჯოჯოხეთის მარწუხებით სწურავს ჩვენს გულს ჯავრი და ბოღმა, როდესაც ჩვენი აღშფოთებული და აფორიაქებული გონება ვერ შერიგებია ვარლამის ასეთ მოულოდნელსა და უსამართლო დაკარგვას, როდესაც ცრემლი გვღრჩობს ჩვენის

ცხოვრების ველიდან ერთის თვალსაჩინო და ნორჩის ყვავილის მოწყვეტისა გამო, ჩვენ არ შეგვიძლია დალაგებით, დამშვიდებით აღვწეროთ ვარლამის მსვლელობა პოლიტიკურ გზაზე, ჩვენ არ შეგვიძლია გულ-დამშვიდებით გავიხსენოთ ის ტანჯვა და ღვაწლი, რომელიც მან გადიტანა ამ გზაზე ხან-მოკლე მსვლელობის დროს, როგორც პიროვნებამ, როგორც ნიშანში ამოღებულმა ადამიანმა!

ვიტყვით მხოლოდ, რომ უსაზღვრო იყო ის ზნეობრივი ტანჯვა, რომელიც ჩვენ მას მივაყენეთ, უზომო იყო ის უბედურება, რომლითაც ჩვენ მას გავუმასპინძლდით, მაგრამ ამავე დროს უსაზღვრო და დაუფასებელია ის სიკეთე და გამბედაობა, რომელიც მან მოუტანა და, რომელიც მან გამოიჩინა საქართველოს პოლიტიკურ ცაზე.

მიუხედავათ ზოგიერთის ნაკლისა თუ ჩვენის გადაჭარბებულის ეგოიზმისაგან წარმოშობილ უდიერობისა, ვარლამ გელოვანი იყო ის პირველი **ქართველი,** რომელმაც სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან ხმამაღლა, მთელის მოქალაქობრივის ვალდებულებით ამცნო მთელს რუსეთს, მთელ განათლებულ კაცობრიობას **საქართველოს უფლებანი, საქართველოს დანიშნულება.**

სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან მან პირველმა აღიარა საქართველოს გულისთქმა, მისი სულის კვეთება და მოითხოვა, რომ საქართველოსაც მინიჭებოდა მისგან ისტორიით დამსახურებული —სწორუფლებიანი ხმა.

**მან პირველმა ილაპარაკა საქართველოს ერის სახელით.** მისი დეკლარაცია პ რველი ნაბიჯი, პირველი კარის შეღება საქართველოს ახალი პოლიტიკური ცხოვრებისა და ახალი საქართველოც არ დაივიწყებს მის ღვაწლს.

განისვენე, ტანჯულო და წამებულო ვარლამ! უდროო და უდროოთ იყო შენი სიკვდილი, მაგრამ, როცა ქვეყანას მოეფინება მზე სამართლიანობისა და კაცად კაცობისა, შენი საყვარელი სამშობლო მადლობით მოგიხსენიებს და შენს სახელს შეიტანს თავის უკვდავ შვილთა სიაში!..

**ია ეკალაძე.**

## ვარლამ გელოვანი.

კიდევ ერთი მსხვერპლი, რომელიც ქართველმა ერმა მიიტანა სახელმწიფოებრივის ინტერესების დასაცველათ.

როცა მთელი ერის წარმომადგენელი ასეთის თავგანწირულებით სწირავს თავს, იგი ანგარიშში ჩასაგდებელია, იგი უმწვერვალესი გამოხატულებაა ერის გრძნობებისა და ყოველ ეჭვს გარეშე დასაყენებელი ფაქტია.

კუჭიკო გელოვანმა, ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენელმა, სწორეთ გმირულად გასწირა თავი.

და ამ ბრძოლაში ის წილი ირგუნა, რომელიც უფრო დაფარულია, მაგრამ უფრო ადამიანურია.

ქართული რაინდული სულისა და გმირობის საბუთი მან ბრძოლის ველზედაც გამოიჩინა. თოფ-ზარბაზნის გრიალსა და ცეცხლში დაურიგა მოწინავე პოზიციაზე ტანისამოსი და მერმე დაჭრილი მხლებელი არ მიატოვა და უშიშრად გაიტაცა ომიდან. რასაკვირველია, მას, როგორც დემოკრატიული პრინციპების აღმასრულებელს, იტაცებდა სულ სხვა გვარი მოქმედება ომის დროს, ტანჯულთა ბედის შემსუბუქება და, აი იგი გამოდის სახელმწიფო სათათბიროს ლაზარეთის გამგედ. მან ეს როლი თავგანწირულებით აღასრულა. ავადმყოფს მტერსა და მოყვარეს ის და მისი მეუღლე, რომელიც დღეს სასიკვდილოდ გადადებულია, ერთნაირის თავგამოდებით ემსახურებოდენ. მისი ავად გახდომის მიზეზად ასახელებენ სწორედ იმას, რომ სამი სახადით ავადმყოფი ოსმალელი ზურგით მიიტანა ლაზარეთამდის, თავის ლოგინში აწვენდა ავადმყოფებს, ვიდრე სახადით ავად არ გახდა იგიცა და მისი მეუღლეც.

და ამ ავათმყოფობამ თან გადაიტანა...

კუჭიკო გელოვანი პირნათლათ ასრულებდა თავის მოვალეობას დეპუტატისას.

მან პირველად განაცხადა სახელმწიფო სათათბიროში

და, რასაკვირველია, თითქმის მთელი რუსეთის სათათბირო ამ ადამიანურსა და კანონიერს მოთხოვნილებას მწუთხე და გულგრილად დაუხვდა.. გამოირკვა, რომ რუსის, „ლიბერალები“, საქართველოს ჭირვარამს ისეთსავე უარყოფით ეკიდებიან,

კუჭიკო გელოვანს გადაწყვეტილი და დამზადებულიც ქონდა მისის თანამოაზრეებისგან შემუშავებული სტატუტი

რომელიც მას უნდა წარედგინა სათათბიროში. ეს მისი გადაწყვეტილება მოწონებულ იქნა რუსეთის განაპირა ქვეყნების წარმომადგენელთაგანაც, დიდის აღტაცებით იქმნა მიღებული და დიდის მადლობით აღნიშნული...

მაგრამ ეს მას არ დასცალდა... უკანასკნელ სხდომებს სათათბიროსას იგი ვერ დაესწრო ან არ დაესწრო. კარგათ იცოდა უთუოდ, რომ „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“.

მთელის თავის მოქმედებით კი ცხადჰყო არა თუ თავისი, ქართველი ერის განწყობილება..

კიდევ ერთი მ ხვერპლი, კიდევ ერთი

# დღეს რა მოხდა.

**კვირას, 22 თებერვალს, გადაიცვალა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრი თ-დი გარსამ გელოვანი.**

### რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

ვიშკოვის რაიონში გერმანელებს უშედეგო იერიშები მოაქვთ.

მარმაროშის მხარეს ჩვენ იერიშებს განვაგრძობთ.

18 თებერვალს ჩვენმა ჯარმა სტანისლავოვი დაიკავა.

გალიციის რაიონში ცენტკოვთან მტერს გამაგრებული პოზიცია წავართვით. აქ მტრის უკან დევნას განვაგრძობთ.

ლომჟის გზებზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. ბელიგროდის რაიონში მტერს კვლავ იერიშები მოაქვს.

### კავკასიის ასპარეზი.

ჭოროხის რაიონში ჩვენი ჯარი მტერზე თავდასხმას განაგრძობს.

### დასავლეთის ასპარეზი.

დიუნკების რაიონში მოკავშირეთა ჯარმა გერმანელებს წინა რიგის თხრილები წაართვა და დაატყვევა ტყვიისმტყორცნელთა როტა.

ვოგეზში ბრძოლა მოკავშირეთა ჯარის სასარგებლოთ სწარმოებს.

ელზასში მოკავშირეთა ჯარმა მთელი რიგი თხრილებისა დაიკავა.

---

საბუთი ქართველი ერის გრძნობისა რუსეთის ხალხისადმი...

ვნახოთ, როგორ დააფასებს რუსეთის დემოკრატია,—რომლის ხელშია მომავალი რუსეთის ბედი და იღბალი,—ქართველ ერის უსაზღვრო თავგანწირულებასა და დაუსრულებელ მსხვერპლს.

„ნეტავ თუ არ გვატირებენ
ბოლოს ვაჟკაცურ შრომაზე?
ნეტა, თუ დაგვიფასდება
ქართველთა შვილებს ამაგი,—
არ იქცა საყოვ-ყორნედა,
ჩვენი ლამაზი ალაგი“.

**კიტა აბაშიძე.**

---

## ქუთაისი, 24 თებერვალი.

ჩვენი ცხოვრების რომელ მხარესაც უნდა შევხედოთ, ყველგან ცალმხრივობა და არა სასურველი სურათი დაგვხატებათ თვალწინ.

გვაქვს სკოლები...

მ

გვაქვს ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება მთავარი თუ მისი განყოფილებანი...

მაგრამ იგინი ბიუროკრატიულ დაწესებულებებს უფრო მიაგვანან.

გვაქვს თეატრი...

მაგრამ ისიც დაიწვა.

გვაქვს მწერლობა...

მაგრამ ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოების ცალკე გამოცემას იშვიათადა ნახავთ.

გვყანან მწერლები...

მაგრამ დამცირებულნი, მშიერნი იხოცებიან.

გვაქვს ეკლესია...

მაგრამ შიგ კი არავინ შედის.

გვყანან მღვდლები...

მაგრამ მათ ყოფნას, არ ყოფნა სჯობია.

გვყანან მასწავლებელნი...

მაგრამ ჩინოვნიკობამ ჩაყლაპა სული მათი!

გვყავს ინტელიგენცია...

მაგრამ ორი კაცი ერთად ვერ მორიგებულა.

გვყანან ვაჭრები...

მაგრამ ჩვენ გაჭივრებას ვერა ხედავენ.

გვყანან ინჟენრები...

მაგრამ საინჟენერო ვერა შეუქმნიათ-რა.

გვყანან აგრონომები...

მაგრამ ჩვენი გლეხი ისევ ცხრა უღელი ხარ-კამეჩითა ხნავს.

გვყანან საპოლიტიკო და სალიტერატურო ჯგუფები...

მაგრამ ერთმანეთს სჭამენ.

გვყავს ხალხი...

მაგრამ ჩვენ იმას არ ვიცნობთ.

გვყავს ერი...

მაგრამ გზა-კვალი ავურიეთ.

გვაქვს ჟურნალ-გაზეთობა...

მაგრამ ერთმანეთის ლანძღვა გინებაში არიან...

დიახ, ყველაფერი გვაქვს, ყველანი გვყანან...

მაგრამ ერთი **მთლიანი** ვერა შეგვიქნია-რა და ერთი, რომ ალთას მირბის, მეორე ბალთისკენ იწევს.

რა არის ამის მიზეზი?

ჩვენის აზრით სულ უბრალო და ადვილათ დასანახი რამ...

რაც საქართველო გადმოვარდა თავის ისტორიულ გზიდან, ქართველი ბუნებრივათ აღარ იზრდება. მისი ხასიათი, ზნე და ჩვეულება ირყვნება, მისი ენერგია კნინდება, მისი მისწრაფება ითქვიფება და ხელში გვრჩება მხოლოდ მოწუწუნე, უთვითნებო არსება, რომელსაც ქართველისა მარტო სახელი ღა თუ შერჩენია...

ჩვენი ცხოვრების სიღუხჭირისა გამო რაც, ან ვინც ძლიერია ჩვენში—**ტყდება.** რაც, ან ვინც მოქნილია—**ილუნება** და...

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება მეტის-მეტი უფერული გამოდის...

**მთლიანი ტიპი ქართველისა იშვიათია.**

ჩვენში ხშირათ ისეთი კაცი სოციალისტობს, რომელიც გროშზე გაგყიდის და თავის პირადი ინტერესებისათვის ყოვლივე წმინდათა წმინდას შებღალავს.

**ნამდვილი მშრომელი კაცი** კი დევნილია.

ბურთი და მოედანი ავანტიურისტებსა და თავხედებს რჩებათ...

ასეთ ორომტრიალს, ასეთ სულიერ დაკნინებას თანა სდევს ჩვენი მატერიალური უძლურებაც და...

„მიდის დღე და მიდის ღამე ამ ყოფით“!..

ჩვენის ქვეყნის სიუხვით სხვები მდიდრდებიან, ჩვენ კი ზეცას შევყურებთ და იქიდან გამომცხვარ ქადებს მოველით!

ასეთია მარტო ჩვენი,- ქართველების ბედი კი არა, ასეთია ბედი ყველა დაჩაგრული და მეოცნებე ერისა.

მაგრამ როდემდის ასე?

აი, ის საკითხი, რომელიც ყრუდ, ასე ვსთქვათ შეუმჩნევლად შეიპარა თითოეულ ჩვენთაგანის გულში და გადაჭრილ პასუხს მოითხოვს.

როგორი უნდა იყოს ეს პასუხი?

ამაზე კვლავ.

---

## გაზეთი „რეჩი“ აჭარლების შესახებ.

რუსეთის კონსტიტუციონური დემოკრატიის ოფიციოზი „რეჩი“ ნანობს, კავკასიის ერებს ვერ ვიცნობთო. მართალიც არის. ეს გაზეთი, მაგალითად, ეჭვობს, რომ მართალს ამბობდენ ქართველი მოღვაწეები, რომელნიც აჭარლებს ქართველებად აღიარებენ!

დიაღ! ვგონებ, აფრიკის „აშანტიებს“ უკეთ იცნობენ, ვიდრე ჩვენ. მაგრამ, უფრო დასაჯერებელი კია, რომ ვერც ერთს ვერ იცნობენ.

როგორ? კონსტიტუციონური დემოკრატიის პირველმა გაზეთმა, არ იცის, ვინ არიან აჭარლები?! და მერე,

როგორ უნდა განაგოს მან იმ ქვეყნის ბედი, რომელისაც არა იცის რა?!

გაზ. „პეტროგრ. ვედომოსტები“ სამართლიანად ესაყვედურება მილიუკოვს, რომელმაც ტრაპიზონის ვილაეტი, რომლის მცხოვრებთა უმეტესობაც მეგრელებისაგან შესდგება, სომხეთის ნაწილად აღიარა!

ამგვარად წყარო სათავეშივეა ამღვრეული! თუ კი მილიუკოვმაც არა იცის რა ჩვენ შესახებ, სხვას რა ღა მოეთხოვება?!

ერთი ცუდი ზნე სჭირსთ რუსეთის პარტიათა მეთაურებს. როდესაც კავკასიაში მობძანდებიან, იმას კი არა ცდილობენ, რომ შეისწავლონ აქაური მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება, ავი და კარგი, ზნე-ჩვეულებანი, გეოგრაფია და ეთნოგრაფია, არამედ ლექციებითა და ლამაზი „სიტყვებით“ ცდილობდენ მოგვაწონონ თავი და სათეატრო დარბაზსა და სალონებს არ შორდებიან!

თვარა, ისინი რომ მეცნიერული მიზნით მოდიოდენ ჩვენში, როგორ გამოეპარებოდათ ის ფაქტი, აჭარლები რომ ქართველები არიან! და როგორ არ ეცოდინებოდად, რომ აჭარლებს მარტო ქართველი მოღვაწეები კი არ აღიარებენ ქართველებად, არამედ ჩვენს ღვიძლ ძმებადვე აღიარებენ თავს თვით მაჰმადიანი აჭარლებიც, რომელთა ქალებმა და ბავშებმა არც კი იციან თათრული, ამასვე ღაღადებენ და მეტყველებენ მათი ზნე-ჩვეულებანი, სიმღერები, მათ ქვეყანაში დაცული აუარებელი ძველი ეკლესიისა და მონასტრის ნაშთები და სხ.

თვალი რომ მაინც გადაევლოთ საქართველოს ისტორიისათვის, როგორ არ ეცოდინებათ, რომ კერა ქართული ქრისტიანული კულტურისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა—აჭარა და მესხეთი იყო?!

მაგრამ არა თუ ჩვენს მაჰმადიან ძმებს, აჭარლებს, ლაზებს, მესხებსა და სხ., არამედ ქრისტიან ქართველებსაც კი ვერ გვიცნობენ!

სამწუხაროა და სავალალო!

**ვასილ წერეთელი.**

---

## სამგლოვიარო დეპეშები და წერილები.

თვალთ შეუდგამო, საქართველოს ნექტარო, ბატონო აკაკი!

შემდეგ ისრაელების წარტყვევნისა და იერუსალიმის მოოხრების იერემიას წარმოთქმულ გოდებას, ბეთლემსა „და ყოვლთა საზღვართა მისთა“ იროდე მეფის ბრძანებით თოთხმეტი ათასი ყრმების გაჟლეტით, მათის დედების ცრემლებს ერთად შევაგუბებ; გოლგოთის მთაზე ქალ-წულ დედა მარიამის, მენელ-საცხებელთა დედათა და პეტრე მოციქულის მწარე კურცხლებს იესო ქრისტეს ჯვარცმით გამოწვეულთ, ყველა ამ ცრემლებს მიუძღვნი ქართველის დედას, რომ მან გულ დათუთქულმა, უუბადრუკესმა და უსაწყალობელმა ეს ცრემლთა ნაკადული საქართველოს გულში ჩაასხ-ჩააწუროს, იაკობის იდუმალ კიბეს, რომელზედაც ანგელოზები ადიან და ჩამოდიან, ფეხი შენს ხმელთ ზურმუხტზე დაუდგას, ხოლოთ თავი „ფირუზ ცას“ მიაბჯინის და იქიდან, წარმომთქმელმა: „აჰა ძუძუნი, რომელთა სწოვდი და წიაღი, რომლითა გიტვირთიდი შენ, და გაპკუროს ეგი ცრემლთა ნაკადული. და როდესაც შენი სწავლა-მოძღვრება [illegible] დაგება საქართველოში კიდით კიდემდე, და სასურველს ნაყოფს [illegible] თვის, მაშინ შენს დროებით დამადუმებელს სიკვდილს მედგრად შევსძახებ, „სადაა სიკვდილო საწერტელო შენი, სადა არს ჯოჯოხეთი ძლევა შენი“. მაშინ შენს საფლავზე, როგორც მცხეთელ სიდონის თავზე, რომელმაც ქრისტეს კვართი გულში ჩაიხუტა და მით მიწაში ჩაესვენა, ამოცენდება ხე, ამ ხისაგან გაკეთდება სვეტი ცხოველი, რომელიც შემდგმის ბურჯად შენს სამშობლოს და იქიდან გადმონადენი მირონი განკურნავს ყველა მის შვილს დავადებულ-დასნეულებულს, მაშინ „განიბნევიან ყოველნი მტერნი მისნი“, მაშინ ოთხივე მხარეებზე მდინარები მორწყვენ დიდიხნის ნაგვალულევს არემარეს, რომ დაიწყოს ბიბინი ჯეჯილმა.

**მღ. კ. ანთაძე.**

---

**თერჯოლა.** აზბოქრებულ ქართველთა ცრემლების ზღვას უერთდება ჩვენი ცრემლების ნაკადულიც სამშობლო ქვეყნის ღვთაება- აკაკის გადაცვალების გამო. ვაგლახ ჩვენ,—აღარა გვყავს შეუდარებელი დარაჯი და ჭირისუფალი ჩვენი ერისა!.. ჩვენი გულია შენი სამარე ჩაგრულთა გულის მაცოცხლებელო მგოსანო. ვეთაყვანებით შენს წმიდა ცხედარს, რომ სიკვდილითაც სიცოცხლე მოგვანიჭე.

სოფელ თერჯოლის მკვიდრთა. მონდ.

**იდ. მხეიძე.**

---

**სოფ. არგვეთი.** სხვებთან ერთად, მეც, საწყალი გლეხი, ვკადნიერდები და მსურს გამოვემშვიდობო ბრწყინვალე შენს ცხედარს, დიდებულო მგოსანო აკაკი! თქვენ მოკვდით, მაგრამ ეგ სიკვდილი სასიქადულო და სასახელო სიკვდილია; მოკვდით ხორცით, სულიერათ არ მომკვდარხართ. სატირალი თქვენ კი არა, ჩვენ ვართ, ქართველი ერი, რომელმაც დაკარგა თავის მომაგე და მოსარჩლე წინამძღვარი. ვტირით ყველა ქართველი და ჩვენთან ერთად ქართველი დედაც, რომელსაც არა ერთხელ დაუძ-ნებია პატარა შვილი შენის ნანათი.

უკანასკნელათ მუხლს ვიდრეკ შენის ცხედრის წინაშე დიდო ეროვნულო დარაჯო!

**გლეხი ილიკო ქვათაძე.**

---

მოწინავე მებრძოლ ჯარში მყოფი ქართველები ულრმესად დაგვამწუხარა საყვარელი მამულიშვილის მგოსანი აკაკის დაკარგვამ.

---

# სასცენო ხელოვნება.

**მოხსენება აკაკი ფაღავასი**

(წაკითხული სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა ყრილობაზე).

ბატონებო! თუ ისეთი რთული და სათუთი არსება, როგორიც არის ადამიანის სული ინგლისელ ფილოსოფოს ლოკს მიაჩნდა „tabula rasa“-დ, ე. ი. წმინდა დაფად, რაზედაც შემდგომ ადამიანის გაჩენისა იწერება ყოველივე ის, რაც მომავალში ამ ადამიანის სულის კვეთებას შეადგენს, მით უფრო სცენა, სწორედ რომ დაფა ანუ უბრალო ფიცარი, რომლისგანაც შესდგება თეატრის იატაკი, ჩვენ უნდა მივიჩნიოთ „tabula rasa“-დ.

სცენაზე შეიძლება განხორციელდეს და განხორციელებულა კიდეც, როგორც თვით უმწვერვალესი შემოქმედება ხელოვნებისა, აგრეთვე უმდაბლესი ხელობაც.

სცენა შეიცავს, როგორც ხელოვნების ტაძარს, ისევე გარყვნილების ბუდეს.

სცენაზე ჩვენ ვხედავთ განხორციელებულს უკეთილშობილეს გრძნობათ, იქ გვაჩვენებენ ჩვენ ბრიტანელთა გენიოსის შექსპირის შემოქმედებას, სცენაზედვე ჩვენ შეგვიძლია ვიხილოთ მაიმუნის პრანჭვა გრეხა.

აი, ეს ორი პოლიუსი, რომელთა შორის ქანაობს სასცენო ხელოვნება. რასაკვირველია ყველა ერთხმად დამემოწმება, რომ რამდენათაც ჩვენ პირველს დავუახლოვდებით, იმდენათ უმჯობესი იქნება ჩვენთვის და ჩვენი თეატრისათვის. მაშასადამე, ჩვენ უფრო დაწვრილებით უნდა ვიცოდეთ რა არის სცენის დანიშნულება?

თუ სტენდალის დახასიათებით „რომანი—ცხოვრების შარა-გზის გასწრივ მიმავალი სარკეა“.—ესპანელთა გენიოსის მიგუელ სერვანტესის სიტყვით: „სცენა—ჩვენი ცხოვრების დაწვრილებითი მაჩვენებელი სარკეა. სცენა გვიჩვენებს თუ რა უნდა ვიყოთ და რანი ვართ ნამდვილათ„, ე. ი. სინამდვილე დაუპირდაპიროს იდეალს.

შეიძლებოდა მრავალი სხვა საბუთის მოყვანაც, მაგრამ უდროობის გამო, ჩვენ ეს ერთი ვიკმაროთ.

როდესაც სცენის მიზანი გავითვალისწინეთ, უნდა გავიგოთ როგორ განვახორციელოთ იგი.

ამისათვის საჭიროა სასცენო ხელოვნების დღევანდელი მდგომარეობის გაცნობა, შემდეგ დახასიათება და შედარება ჩვენი სასცენო ხელოვნების-მდგომარეობისა და დასასრულ ჩვენება გზისა, რომლითაც უნდა ვიაროთ სასურველი მერმისისაკენ.

მე ვერ გამოვუდგები სასცენო ხელოვნების ისტორიის გამოკვლევას. ბევრ დროს წაგვართმევს, ამიტომ მოკლედ მოგახსენებთ, რომ უმთავრესი დებულებანი ჭეშმარიტი სასცენო ხელოვნებისა მუდამ ერთი იყო და არის. ეს დებულებანი გახლავთ: სინამდვილე, სიმარტივე და ბუნებრივობა.

მრავალფერი მიმართულება გამოწვეულია სცენის მესვეურთა აზროვნებისა და გემოვნების სხვადასხვაობით. ერთსა ჰგონია, რომ იგი მიაღწევს ჭეშმარიტებას ეგრეთ-წოდებული ნატურალიზმით, მეორეს მოდერნიზმი სხვადასხვა სახისა მიაჩნია მართებულ გზად, მესამენი მომხრე არიან ხელოვნური (მხატვრული) რეალიზმისა და ასე ამგვარად...

ყველა ამ მიმართულებაში არის ორგვარი სახე განხორციელებისა და დღეს-დღეობით უმთავრესად ჩამოყალიბებულია ორი ლონისძიება სასცენო შემოქმედებისათვის: ერთია თეატრი წარმოდგენის, მეორე—თეატრი განცდისა.

პირველი არ ივიწყებს, რომ იგი სახავს „მოგონილ ცხოვრებას“, რომ მას პირობითი ხასიათი აქვს. იგი ცდილობს მუდამ ახსოვდეს მაყურებელს, რომ ის თეატრშია, რომ ის უყურებს აქტიორს, რომელიც წარმომდგენელია ამა თუ იმ მომქმედი პირისა. აქ ძალაუნებურად უმთავრესი ყურადღება გადადის ფორმაზე, გარეგნობაზე. ასეთი თეატრი, თეატრი წარმოდგენისა მხოლოდ მომხსენებელია იმისა, რაც შექმნა ავტორმა.

წარმოდგენის თეატრი ზედა პირზე დასცურავს, იგი არ იძიებს შინაგან განცდას, ღრმათ ვერ ჩაუხედია ადამიანის სულსა და გულში და მომქმედ პირთა შინაგანი არსების განცდით ვერ აუტოკებია გული მაყურებლისა.

ასეთ თეატრს, თეატრს წარმოდგენისას, ჰყავს მსახიობი წარმომდგენელი. წარმომდგენელი მსახიობი არ დაგიდევთ მომქმედ პირთა ინდივიდუალურ თვისებას. მას აქვს შემუშავებული ერთგვარი შაბლონი, ერთგვარი თარგი, რომელზედაც გამოჭრის ხოლმე ყველა მის მიერ წარმოდგენილ პირს. ყველა პიროვნების წარმოსადგენათ იგი სარგებლობს ერთი და იმავე საშუალებით.

დავასახელოთ მაგალითი: თუ მსახიობს აქვს როლში შემდეგი სიტყვები: „მე შენ მიყვარხარ“ (სტილი ფრაზისა ჩვენს რეპერტუარს ეკუთვნის), იგი უსათუოდ დაიჩოქებს, მარცხენა ხელს გულზე მიიდებს, მარჯვენას ზეცას აღაპყრობს და პათოსით მიუძღვნის თავის სიტყვებს. დიახ, მხოლოდ სიტყვებს, რადგანაც ამ სიტყვებში გრძნობების ნატამალი არ არის, თორემ გრძნობა, ანუ განცდა წარმოთქმულისა რომ შეეძლოს წარმომდგენელ მსახიობს, მაშინ ეს გრძნობა უკარნახებდა, რომ ამგვარად არსად, არასოდეს და არავინ არ აცხადებს სიყვარულს. ყოველივე ამის წყალობით წარმომდგენელი მსახიობის შემოქმედება, როგორც მოგახსენეთ, გარეგან ფორმაზე გადადის, ამ ფორმებს არავითარი შინაარსი არა აქვთ და მით ხელოვნება ასეთი მსახიობისა არის ერთგვარი ხელობა, მოსაწყენი, თავის მომაბეზრებელი და ხელოვნების ნიშან-წყალს მოკლებული.

სასცენო ხელოვნება უნდა იყოს მომხიბვლელი და თან მახარობელი, თუმცა მოხიბლვა გახარებას და სიამოვნებას თავისთავად გულისხმობს. ყოველივე მოხიბლვის სათავეში ძევს ინტერესი. თუ კი მაყურებელი ვერ დააინტერესე, ისე მას ვერაფრის გზით ვერ მოხიბლავ. ინტერესი კი გულისხმობს სხვადასხვაობას. ასეთს პირობებში, როგორ შეიძლება მე, მაყურებელი, დამაინტერესოს ისეთმა მსახიობმა, რომელსაც ყველა როლისთვის ერთგვარი შაბლონი, ერთგვარი ტიპი წარმოდგენის შეუთვისებია და მე შემიძლიან წინდაწინ ვიცოდე, რომ მსახიობი № მოხუცის როლში იქნება ის, თუ ახალგაზდისაში, ბედნიერი მიჯნურისა, თუ რაყიფისა, ერთგვარათ ილაპარაკებს, ერთსა და იმავე ჟესტს იხმარს, ე. ი. ერთი და იმავე საშუალებით წარმომიდგენს ზეინაბსა და ქეთევანს, ნორასა და ოფელიას, ოტელოსა და ოთარბეგს...

ვგრძნობ, რომ მოწინააღმდეგენი დამისახელებენ ისეთ ძლიერ მსახიობთ წარმოდგენისას, როგორიც იყო ფრანგთა მსახიობი კოკლენი, არის სარა ბერნარიც; მაგრამ ჯერ ერთი ესენი გამონაკლისი არიან, თვით მათი გამოსახვა ჟესტისა—წარმოდგენა ფორმის არის ერთგვარი ხელოვნება, მეორე სწორედ ეს მსახიობნი მაშინ არიან მომაჯადოებელი, როდესაც მათი საგანგებო გარეგანი ფორმა შეწონილია შინაგან არსებასთან. ეს პროცესი მათ მოქმედებაში სწარმოებს შეუგნებლათ.

არის მეორე თეატრი. თეატრი განცდის. ეს თეატრი ამბობს, რომ ვინაიდან სცენა გამოსახავს ადამიანის გრძნობას, თეატრმა უეჭველად ჯერ თვითონ უნდა განიცადოს ეს გრძნობა და შემდეგ იგივე გრძნობა გააცდევინოს მსმენელს. უნდა შევნიშნოთ, რომ წარმოდგენის თეატრი უფრო ეტრფის სანახაობას, მას აინტერესებს მაყურებელი; განცდის თეატრს კი პირიქით აინტერესებს შინაგანი ცხოვრება ადამიანისა, მას სწყურია მსმენელი და არა მაყურებელი, მასთან მსმენელი გულის ყურით.

ასეთი თეატრის მსახიობმა უეჭველად უნდა განიცადოს ის გრძნობა, რა გრძნობითაც დაახასიათა ავტორმა ესა თუ ის მოქმედი პირი. იდეალი სასცენო ხელოვნებისა ის არის, რომ თეატრისა და ავტორის შემოქმედება იმდენათ შესისხლხორცდენ, რომ იქნეს ერთსულ და ერთხორც. აი, სად არის აღთქმის ქვეყანა სცენისათვის. როგორც ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი სახე, ისევე ყველა ავტორს აქვს საკუთარი სახე, საკუთარი მელოდია; აი ამ მელოდიის განცდა ყოველ შემთხვევაში აუცილებელი ვალდებულებაა სცენისა.

თეატრალური შემოქმედება კოლექტიურია, მაგრამ იმავე დროს უკიდურესად ინდივიდუალურიცაა. თეატრის კოლექტივიზმი იმაში გამოიხატება, რომ მას სჭირია მსახიობ-რეჟისორთა გარდა მხატვარი, მოქანდაკე, მუსიკოსი, ტეხნიკები სხვადასხვა დარგისა და უბრალო მუშები. ეს იმიტომ, რომ სცენა, როგორც ზევით ვსთქვით, გამოსახავს მთელ ცხოვრებას. ავტორი ყველასა და ყველაფრისგან იღებს მასალას, ქმნის თავის ნაწარმოებს და მო-

ყველა ერთობით ვუთანაგრძობთ დღევანდელ ქართველ ერის მწუხარებას. ერთი მხრით განუწყვეტელი ბრძოლა და მეორე მხრით ქალაქზე დაშორება გვიშლის პანაშვიდი გადავიხადოთ. მახლობელ სოფლებში კი მართლმადიდებლების ეკლესია არ იპოვება.

ამხანაგების მონდობილობით ივანე ილარიონის ძე წერეთელი.

—

## აკაკი წერეთლის გარდაცვალების გამო.

ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე, ომში მყოფი ქართველი ჯარის კაცნი, დიდათ შეგვაწუხა და დაგვაღონა, მგოსნის აკაკი წერეთლის გარდაცვალებამ...

მისი გარდაცვალებისა და დასაფლავების თვე და რიცხვი არ გვქონდა და არც კი ვიცოდით, მხოლოდ ცივ მიწის თხრილებსა და გომურებში (въ окопахъ) ყოფნის დროს უეცრად ჩაგვივარდა ხელში რუსული გაზეთი, რომელშიაც იყო მოთავსებული წერილი შემდეგი სათაურით: „Кончина Акакія Церетели“. ამ სათაურის წაკითხვა უფრო მძიმე შეიქნა ჩვენთვის, ვიდრე მტრის გამოსროლილი ტყვია. არ ვჯერდებით ამნაირ არა სასიამოვნო სტრიქონების წაკითხვაზე, რომელსაც განმეორებით ვეწაფებოდით გადაკითხვას ხელებისა და ხმის კანკალით...

როდესაც წავიკითხე ეს წერილი, გადავეცი დანარჩენ ქართველებს გაზეთი და სიტყვირათაც ვუამბე, რომ დაობლებულია ქართველი ერი, მგოსანი აკაკი წერეთელი გარდაიცვალა-თქო.

ამ სიტყვების გაგონებამ ყველას დიდი თავზარი დასცა. შევგროვდით ყველა ქართველი ერთად და დავიწყეთ აკაკიზე და მის ნაწერებზე საუბარი. მოვიგონეთ ის ნეტარი დღეები, როდესაც აკაკი გვესტუმრებოდა ხოლმე ქ. ქუთაისში და სხ.

ჩვენს სამწუხარო საუბარს ძლიერ ხელს უშლიდა გერმანელების შეუწყნარებელი სროლა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, აკაკის გახსენებაზე, გვავიწყდებოდა მტრის ტყვია და გულმოდგინებით ვუსმენდით ერთმანეთს.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ ქართველთა ერის თვალზე არ იყო გამშრალი ჯერ კიდევ ის ცრემლი და ის მწუხარება, რომელსაც მიემატა კიდევ მეორე: მგოსანი აკაკი წერეთლის დაკარგვა.

რუსი ამხანაგებიც, რომელნიც კი შორიდან თუ ახლოდან იცნობდენ აკაკის, და წაკითხული თუ გაგონილი ქონდათ მისი ბრძნული ნაწერები, ამ ამბის გაგონებაზე დიდათ შეწუხდენ.

არა მგონია, რომ ქართველთა შორის მოიპოვებოდეს, იმისთანა ადამიანი, რომელმაც ეს მწუხარების მძიმე ტვირთი გულგრილათ გადაიტანოს.

დიდათ სამწუხაროთ დაგვირჩა, რომ მის დასაფლავებას ვერ დავესწარით და უკანასკნელათ ვერ ვიხილეთ მგოსნის სპეტაკი სახე.

ვწუხვართ და ვსტირით იმიტომ, რომ ქართველ ერს, ქართველ ახალგაზდობას ულმობელმა სიკვდილმა გამოაცალა ხელიდან იმისთანა ადამიანი და მასწავლებელი, როგორიც იყო აკაკი, რომელიც თვისი დაუღალავი კალმით, ეკლიან გზას შეუპოვრად გვიკაფავდა და სინათლისაკენ გვეძახოდა.

ვუერთებთ ქართველი ერის მწუხარებას, ჩვენს მწუხარებასაც. აკაკის ხსოვნა და დიდება კი იქნება მუდამ ჟამს ამოუშლელი ჩვენის გულიდან.

გფიცავთ, მგოსანო აკაკი, რომ აქიდან დაბრუნებისას, უწინარესად ყოვლისა, მოვიდეთ შენს საფლავზე და მცხარე ცრემლით მოვრწყათ ის ყვავილები, რომელიც იქნება დამამშვენებელი შენი საფლავისა.

მაშ! განისვენე ჩვენო ბევრის რამ მომცემო, მგოსანო აკაკი!

საუკუნოთ იყოს, და იქნება კიდეც, ხსენება შენი!

ომში მყოფ ქართველთა მონდობილობით კალისტრატე ივანეს ძე გუჩუხიძე.

## დეპუტატ გელოვანის გარდაცვალების გამო.

დეპუტატ გელოვანის გარდაცვალება. სახელმწიფო სათათბიროს წევრი თავადი ვარლამ ლევანის ძე გელოვანი, რომელიც შავი სახადით ავათ იყო და თფილისის საქალაქო საავათმყოფოში იწვა 22 თებერვალს, დილით, გარდაიცვალა.

ხუთშაბათს, 26 თებერვალს განსვენებულის ცხედარს ქუთაისში ჩამოასვენებენ. დღის ორ საათამდის დასვენებული იქნება საკათედრო ტაძარში, სადაც პანაშვიდს გადაუხდიან.

ნაშუადღევის 2 საათზე ცხედარს წაასვენებენ ლეჩხუმს, საგვარეულო სასაფლაოზე დასაკრძალავათ. დაკრძალვა მოხდება კვირას, 1 მარტს.

განსვენებულის მეუღლეც ძლიერ ავათ არის.

— —

### სამგლოვიარო დეპეში

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. რევაზ ერისთავისაგან შემდეგი დეპეში მიიღო: — „გარდაიცვალა ხალხის მიერ ამორჩეული დეპუტატი თ. ვარლამ ლევანის ძე გელოვანი. მწუხარება ქუთაისის გუბერნის თავად-აზნაურობისა და ხალხისა, მწუხარებაა მთელი ქართველი ერისა. გორის თავად-აზნაურობა უმორჩილესათ გთხოვთ ჩვენი მწუხარება გადასცეთ ხალხს.

დეპუტატ გელოვანის გარდაცვალების გამო ქუთაისში შესდგა დამკრძალავი კომისია, რომელშიაც ათამდი წევრი შედის. განსვენებულის პატივსაცემათ კომისია თადარიგს უკვე შეუდგა.

დღეს, 24 თებერვალს, საკათედრო ტაძარში დეპუტატთა საკრებულოს მიერ გადახდილ იქნება პანაშვიდი მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრის თავ. ვ. ლ. გელოვანის სულის მოსახსენებლათ.

გუშინ, 23 თებერვალს, პანაშვიდი გადაიხადეს განსვენებულის ჭირისუფლებმა.

## ახალი ამბავი.

ამასწინათ ჩვენს გაზეთში მოთავსებული ცნობა თფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის დაწყების შესახებ მართალი არ გამოდგა. სწავლა ახლაც შეწყვეტილია და როდის დაიწყება არავინ იცის.

✦ ამჟამათ ქუთაისში აღარ იშოვება ცვილი (ორგო — воскъ), რის გამოც სანთლის წარმოება თითქმის შეჩერდა.

ორგოს შემოუტანლობის მიზეზი შავ ზღვაზე ომის გამო მიმოსვლის შეწყვეტაა. ყ-დ სამღვდელო გიორგიმ ამის შესახებ ვრცელი დეპეშა გაგზავნა უწმიდეს სინოდში.

✦ სოფ. ახმეტის (თიანეთის მაზრა) მცხოვრებლებმა თფილისის ფოშტა-ტელეგრაფის უფროსის წინაშე შუამდგომლობა აღძრას თელავიდან ახმეტამდი, 25 ვერსის მანძილზე, ტელეგრაფის გაყვანის შესახებ.

✦ გურიიდან გვწერენ, რომ იქ ძლიერ გახშირებულია ბავშების ავათმყოფობა: ხუნაგი, ყვავილი, წითელა და სხვა. ხალხი უსახსრობისა და უექიმობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდის.

✦ გომიდან გვწერენ, რომ 1914 წელში დაარსებული საამხანაგო დუქანი დაიხურა.

✦ ქუთაისის ქართულ დრუჟინაში მყოფი თედორე ქათამაძე, რომელიც 23 იანვარს გაგზავნეს ბათომში, ქვეიდან შეიშალა.

✦ 15 თებერვალს დაბა ლანჩხუთში, მსახ. ა. ჯაყელის რეჟისორობით, წარმოადგინეს ა. ცაგარლის 3 მოქმ. დ. „გულჯავარ“ წარმოდგენას ხალხი საკმაოთ დაესწრო.

✦ შაბათს, 21 თებერვალს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა ქალაქის საბჭოს იურიდიული კომისიის კრება, რომელმაც განიხილა ინჟენერ ბ. ქურდიანის მიერ წარდგენილი პირობები ქუთაისში წყალსადენისა, ტრამვაისა, განათებისა და კანალიზაციის მოწყობის შესახებ. კომისიამ ეს პირობები მოიწონა.

✦ კვირას, 22 თებერვალს, საგუბერნიო კოოპერატივის საზოგადო კრება არ შესდგა.

ამავე დღეს დანიშნული მდაბიო მოქალაქეთა კრება სხვა დროისათვის გადაიდვა.

✦ როგორც ვიცით, აკაკის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლათ ქუთაისის გამგეობამ აირჩიეს კომისია, რომელსაც ფული უნდა შეეკრიბათ. კომისია შესდგა ნ. ბარამაძის მეთაურობით. კომისიაში შემდეგი პირები შედიან: მ. ჭავჭანიძე, ვ. კოსტავა, ა. ფოჩხუა, ი. მესხი, ალ. კოსტავა და ვ. გუბელაძე. ამ პირებმა დღემდის ვაჭრებსა და მოხელეთა შორის შეაგროვეს სულ 441 მანეთი და 66 კ. ეს ფული წვრიმალი ხარჯების გამოკლებით (8 მ.) გადაეცემა ეთნოგრაფიულ საზოგადოებას.

✦ ქ. შ. კ. საზ. ქუთაისის განყოფილებამ დაადგინა დრო გამოშვებით გამოსცეს ყოველგვარი საყმაწვილო წიგნები. საგამომცემლო სექციას თფილისში ლიტოგრაფ კ. მესხიშვილთან უკვე მოლაპარაკება აქვს.

✦ პარასკევს, 27 თებერვალს, ქალაქის თეატრში გაიმართება საინტერესო სალიტერატურო საღამო. საღამოზე წაკითხულ იქნება ალ. შანშიაშვილის ახალი დრამატიული პოემა „ქალი გრძნეული“. პოემის წაკითხვის შემდეგ გაიმართება კამათი, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებენ: კონ. ანდრონიკაშვილი ფილ. დოქტორი დ. უზნაძე, ა. ჯანელიძე, გრ. გიორგაძე, შ. სანებლიძე, ფილ. დოქტორი ტ. მარგველაშვილი, გრ. ლაღიძე, აკაკი ფაღავა, შოთა დადიანი, გ. ახვლედიანი, აპ. გაბუნია, ია ეკალაძეც და სხვ. მსურველთ შეუძლიათ კამათში მონაწილეობა მიიღონ.

### თ ე ა ტ რ ი.

ქარ. მსახიობთა ამხანაგობა ამზადებს წარმოსადგენათ ახალ ორიგინალურ პიესას დ. კლდიაშვილისას „უბედურება“ პიესა დაწერილია ერთ მოქმედებათ. შინაარსი აღებულია იმერეთის სოფლის ცხოვრებიდან. ამ პიესისათვის თეატრის მხატვარი შეუდგა დეკორაციების ნაწილის შეკეთება — შელამაზებას.

— —

ქარ. მსახიობთა ამხანაგობა სთხოვს ქალ. საზ. გამგეობას, როგორც თეატრის მოიჯარადრეს, შეიძინოს სცენისათვის იატაკის ხალი, რადგან უამისობა ძლიერ უშლის ხელს სცენის მოწყობას.

კვირას, პირველ მარტს ამხანაგობას განზრახვა აქვს წარმოადგინოს დ. კლდიაშვილის ახალი პიესა „უბედურება“, ამისათვის დასის რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი დღეს გაემგზავრება დ. სენაკში პატივცემულ დრამატურგთან მოსალაპარაკებლად, პიესის შესახებ.

— —

მზადდება ორიგინალური პიესა კ. ანდრონიკაშვილისა „სიზმარი კოშკში“.

## ომ ი.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

### რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** „არმიის ვესტნიკის“ მიმოხილვა. ოფიციალური 22 თებერვალი. ვისლის რაიონში ცვლილება არ მომხდარა, მხოლოდ პილიცასთან მტერს იერიში მოაქვს. გალიციაში ბრძოლა სწარმოებს. მეზოლაბორჩის მხარეზე ამ დღეებში მტერს მოქონდა იერიშები, ნამეტურ კი რენეუსთან, მაგრამ ყველა იერიში მოვიგერიეთ და მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. 18 თებერვლიდან ბოლიგროდის რაიონში ბრძოლა სწარმოებს. ავსტრიელები აქ ვერავითარ მიზანს ვერ აღწევენ. 20 თებერვალს ავსტრიელებმა იერიში მოიტანეს ჩვენ ჯარზე რაძიეუკის რაიონში. ყველა იერიში მოგერიებულ იქნა. ლუტოვისკთან მტერი შეეცადა მდინარე სანზე გადასვლას, მაგრამ ვერ მოახერხა. ვიშკოვის რაიონში გერმანელებს 18 თებერვლიდან — 20-მდის უშედეგო იერიშები მოაქვთ. ჩვენი იერიშები მარმაროშის მხარეზე გრძელდება. 18 თებერვალს მდინარე ლომნიცასა და ლუკცას მიდამოებში მტერი დავამარცხეთ და დავიკავეთ სტანისლავოვო. გალიჩის რაიონში შეუპოვარი და სასტიკი ბროლის შემდეგ, ღამით ხელით ხელთ ვიგდეთ ძლიერ გამაგრებული პოზიცია ცენსკოვთან, მტერი კი ბისტრიცას იქით გავდევნეთ, მტრის დევნა გრძელდება.

**პეტროგრადი.** ოფიციალური. უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან. მდ. ნემანის მარცხენა მხარეზე, მტერი გავდევნეთ სადგურს იქით. სიგნოსა, ლიპუნის რაიონში, და ნარევის მარჯვენა მხარეზე შესანიშნავი არაფერი მომხდარა. ლომჟის გზებზე სწარმოებს სასტიკი ბრძოლა. აქ, 19 თებერვალს, ღამით ჩვენ თხრილებიდან ამოვრეკეთ მტერი, სოფ. კარკოვოსთან და ვიხელთეთ 7 ტყვიამტყორცნელი. ვისლის მარცხენა მხარეზე მდ. პილიცის რაიონში 20 თებერვალს გერმანელებმა იერიში მოიტანეს სოფ. დომანევიცაზე. კარპატებში, ბოლიგროდის რაიონში მტერი იერიშს განაგრძობს აღმოსავლეთ გალიციაში დამარცხებული მტერი უკან იხევს. ჩვენს მოგვყავს მრავალი ტყვე.

### კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 21/2 კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ოფიციალური ჭოროხის რაიონში ჩვენი ჯარი წინანდებურის სიმამაცით განაგრძობს ოსმალებზე თავდასხმას. სხვა ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 20/2 ოფიციალური. ბელგიაში, დიუნების რაიონში გავამაგრეთ წინა რიგის თხრილები, რომლებიც მტერს გუშინ წავართვით. აქ ჩვენ მოვიგერიეთ მტრის 12 იერიში. არრასის ჩრდილოეთით ჩვენი იერიშები ჩვენ სასარგებლოთ დასრულდა. ხუთშაბათს ჩვენ დავატყვევეთ მტრის ტყვიის მტყორცნელთა როტა. მეორე დღეს ჩვენ უკუვაგდეთ იერიშით მოსული მტერი და დავიკავეთ წინა რიგის თხრილების ნაწილი, რომელიც მტერს ეკავა. ამ ორი დღის განმავლობაში ჩვენ წამოვიყვანეთ მრავალი ტყვე. შამპანიაში, პერტის რაიონში ხუთშაბათს, როტა, რომელიც იმყოფებოდა სადარაჯო პუნქტზე, უცაბათ გარშემორტყმულ იქნა ჩვენი ჯარისაგან. როტა ტყვეთ წამოვიყვანეთ. პარასკევს, 20 თებერვალს, მთელ ფრონტზე წინ წავიწიეთ, დავიკავეთ სიმაღლეები და მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ. ბოსეჟურის რაიონში, ტყვეები ამბობენ, რომ მტრის დანაკარგი აურაცხელია. ვოგეზში, ჩვენ სასარგებლოთ სწარმოებს ბრძოლა. ელზასში ჩვენ დავიკავეთ მთელი რიგი თხრილებისა, და სიმაგრეებისა, ამასთანავე ვიხელთეთ ორი ტყვიის მტყორცნელი. გამოირკვა, რომ ლამანშის სრუტეში, გუშინ ჩვენმა ერთ — ერთმა გემმა ყუმბარები დაუშინა გერმანიის წყალ ქვეშა ნავს, მოახვედრა სამი ყუმბარა, რის შემდეგაც ნავი წყალში ჩაიმალა.

**პარიზი** 21/2 ბეჭვდითი ბიურო, ემყარება, რა, გერმანიის მთავარ შტაბის ოფიციალურ სიების შედგენილობას, ამტკიცებს, რომ ომის დაწყებიდან ხუთი თვის განმავლობაში გერმანიის ათმა ქვეითა პოლკმა დაჰკარგა 36,281 კაცი. საშუალო რიცხვით თითოეულ პოლკზე მოდის 750 კაცი თვეში. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გერმანიის არმია შესდგება 625 პოლკისგან, დავინახავთ, რომ გერმანიის მარტო ქვეითა ჯარის დანაკარგი ომის დაწყებიდან სამ მილიონს კაცს უნდა აღემატებოდეს. აქ ავადმყოფი ჯარისკაცები ნაანგარიშევი არ არის.

**პეტროგრადი.** 22 თებერვალი. მდ. ნემანის მარცხენა ნაპირზე და გროდნოდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ ჩვენი [illegible] ტევა გრძელდება. ჩვენში ჯარმა სოპუცკის — ლიპსკის ფრონტზე [illegible] ლები შეავიწროვა და წინ [illegible] განმავლობაში 500 ტ[illegible] მათ შორის 7 აფიცერია, სამი ტყვიის მტყორცნელი ვიხელთეთ. მდ. ვისლის მარცხენა ნაპირზე, პილიცის რაიონში ბრძოლა თანდათან ვითარდება.

კარპატის მთებზე ოდნაოსა და სანოს შუა ავსტრიელების იერიშები გრძელდება. ლიუტოვიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ ისინი შეეცადნენ მდ. სანის მარცხენა ნაპირზე გადასულიყვნენ, მაგრამ ღამით, 21 თებერვალს, ავსტრიის ჯარის ნაწილები, რომელიც მდ. სანზე გადავიდნენ, ჩვენებმა გაანადგურეს.

კარპატის მთებზე ბრძოლის დროს ავსტრიელებმა ათი-ათასობით კაცი დაკარგეს. აღმოსავლეთ გალიციაში, ბუკოვინასთან, ჩვენი ჯარი დნესტრზე გადავიდა და სოფელ ზალეციკოსთან ავსტრიელებს შეუტია.

ოსოვეცსთან ჩვენმა ჯარმა გერმანიის ორი იერიში მოიგერია. გერმანიის მძიმე ბატარეები წარმატებით აწარმოებენ ბრძოლას. გერმანიის ოფიციალური ცნობით გერმანელებს ჩვენი 29 ქვეითა დივიზიის უფროსი ტყვეთ წაუყვანიათ, რომელიც ჭრილობისაგან მალე გარდაცვლილა. გერმანელთა 20 კორპუსმა და ორმა პოლკმა უკან დაიხიეს. დივიზიას ხელმძღვანელობდა გენერალ ლეიტენანტი როზენშილ-პაულენი, რომელიც ცნობილია რუს — იაპონიის ომის დროსაც თავისი სიმამაცით. ჩვენ კონტრიერიშებს ბრძოლის მიმდინარეობაზე კარგი გავლენა ჰქონდა.

**თფილისი.** 22 თებერვალი. ქალაქის საავათმყოფოში შავი სახადით გარდაიცვალა სახელმწიფო სათათბიროს წევრი ქუთაისის გუბერნიიდან თავ. ვარლამ ლევანის ძე გელოვანი. განსვენებული განაგებდა კავკასიის ფრონტზე სახელმწიფო სათათბიროს სასანიტარო რაზმს, სადაც ის ავათ გახდა და თფილისში ჩამოიყვანეს. მასთან ერთად ავათ გახდა იმავე ავათმყოფობით, მისი მეუღლე, რომელიც ქმართან ერთათ მუშაობდა მოწინავე პოზიციებზე.

## სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.

**პეტროგრადი.** 21 თებერვალი. ამ უკანასკნელს დროს ჩვენი გარნიზონი პერემიშლთან ჯერჯერობით ნაკლებათ მოქმედებს. სიმაგრის არტილერია-კი ყოველდღე აურაცხელ ყუმბარას ისვრის. ავსტრიელები მარჯვეთ აწარმოებენ ცეცხლით ბრძოლას, თუმცა უნაყოფოთ. 20 თებერვალს სადგური სოვოლკა ჩვენი ცეცხლით განადგურებულია. გერმანელების ალბატროსი და მფრინავები ტყვეთ წამოვიყვანეთ. გერმანელები ძლიერ შეეცადენ ვინმე ჩვენთაგანი ტყვეთ ჩაეგდოთ ხელში, რომ მის საშუალებით ჩვენი ჯარის შესახებ რაიმე ცნობები გაეგოთ. მდ. ვისლის მარცხენა ნაპირზე ჩვენი ჯარის თითოეულ კაცის ტყვეთ წამყვანელს საჩუქრათ ასი მარკა დაუნიშნეს. 20 თებერვალს ჩვენ, ერთი გერმანელი პორუჩიკი დავიჭირეთ.

**სტოკჰოლმი.** 21 თებერვალი. ვენიდან იტყობინებიან, რომ მთელს ავსტრო-უნგრეთში მეორე რიგის ლანდშტურმისტები არიან გაწვეულნი სამხედრო სამსახურში.

**სალონიკი** 21 თებერვალი. კონსტანტინეპოლიდან მოსულები ირწმუნებიან, რომ პრინცოვის კუნძულები ძალიან გამაგრებულიაო. არა ნაკლებ გამაგრებულია პრინკიპოს კუნძულები. ადგილობრივი პრესა და ხალხი საბერძნეთის მოსალოდნელ გამოსვლას სიხარულით მოელის.

**პეტროგრადი.** 21 თებერვალი. სახალხო განათლების სამინისტროს მართველის გრ. იგნატიევის კანცელარიაში მოხდა პირველი სხდომა საოლქო მზრუნველებისა. სხდომას დაესწრენ, როგორც სამინისტროს მართველი, აგრეთვე მისი ამხანაგები და სხვადასხვა უმაღლესი თანამდებობის პირნი. სხდომის გახსნისას გრაფმა იგნატიევმა მიმართა შეკრებილთ რამდენიმე სიტყვით. მეო, სთქვა სამინისტროს მართველმა, სახალხო განათლების უწყებაში Homo novus*-ი ვარო, მაგრამ ისე კი ვიცი ხალხის მოთხოვნილება ამ მხრით. ჩემმა ამდენი ხნის სამსახურმა სხვადასხვა თანამდებობაზე ამისთვის საკმაო გამოცდილება მომცაო. კარგათ ვიცი, თუ როგორ საჭიროებას განიცდის პროვინცია სწავლა-განათლების მხრით და ის ფორმალობა ერთგვარი მშრალი განწყობილება პროვინციასთან, რომელიც დღევანდლამდი სწარმოებდა, ამიერიდან უნდა მოის-

---

აქვს თეატრში, რომ სცენამ განიცადოს იგი, შეისწავლოს და განახორციელოს; მშრალ სიტყვას ჩაუდგას სული და შემოსოს სხეული.

ინდივიდუალიზმი სცენისა გამოისახება იმაში, რომ თითოეულ დრამატიულ ნაწარმოებს აქვს საკუთარი, სხვაში გამოურჩეული სახე. როგორც ვერ იპოვნით მთელ დედამიწის ზურგზე ორ ერთგვარ არსებას, ისევე ვერ მონახავთ ორ ერთგვარ ავტორს, ერთგვარ პიესას და სწორედ, აი, ეს გვავალებს სცენის მუშაკთ ჩვენც მოვძებნოთ განსაკუთრებული, შესაფერისი საშუალება განსასახიერებლად თითოეული პიესისა.

მაშასადამე, ახლა ჩვენთვის საინტერესოა გავიცნოთ პროცესი განსახიერებისა, პროცესი შემოქმედებისა. ეს ცოტა არ იყოს სპეციალური საგანია, შეადგენს თეატრის შინაგან მუშაობას, მაგრამ რადგანაც ამ მხრით ჩვენი თეატრი [illegible]რულ უღონობას განიცდის და ფართე მასისათვისაც არ უნდა იყოს ინტერეს მოკლებული სცენის პრაქტიკული გზის ჩვენება, რომ საზოგადოებას შეძლება ქონდეს შეგნებული კანტროლი გაუწიოს თავის თეატრს, ვეცდები, რაც შეიძლება მოკლეთ გაგაცნოთ საჭირო პროცესი სასცენო შემოქმედებისა. მე განგებ არ მომიხსენებია რომელი თეატრია საუმჯობესო, ვისკენ არის ჩემი სიმპატია. ეს იმიტომ, რომ მიდრეკილება ჩემი გამოსჭვივის თვით მოხსენებიდან და ვისთვისაც ეს აქამდის არ იყო (ხადი, ის შემდეგში დარწმუნდება, რომ მე ვემხრობი სასცენო ხელოვნების იმ მიმართულებას, რომლის შემოქმედებით პროცესს ქვემოდ გადაგიშლით.

აკაკი ფაღავა.

(შემდეგი იქნება.)

══ სავაჭრო სახლი ══
„ი. გოკიელოვის ძ—ბის“
ქუთაისში

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეთა და თესლის გამოიდველებს, რომ ცნობილი აბრეშუმის თესლი

ნ. ხრისტოდულიდისა მიღებულია.

ვინც თესლს შეგვიკვეთს პირველ მარტამდი არა ნაკლებ ერთი ყუთისა, რომელშიაც ორასი კოლოფია, მას 6 მისხლიანი კოლოფი დაუჯდება 2 მ. და 3 აბაზათ. შეკვეთის დროს სავალდებულოა ბეთ წარმოდგენა 100 მანეთის. დანარჩენი ფული კი საქონლის წაღებისას. თესლის წაღების უკანასკნელ ვადათ დანიშნული გვაქვს 20 მარტი. ფარცხანაყანევისთვის, ქვიტირისათვის, მაღლაკისათვის, პატრიკეთისათვის, საყულიისათვის, შუამთისათვის, სვირისათვის და წყალტუბოსთვის აგენტად დანიშნულია ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევის იარმუკაში. თ.

პოსო. შემდეგ გრაფ იგნატიევმა სთქვა, რომ სკოლა უნდა ემსახურებოდეს ხალხის მოთხოვნილებას, ამიტომ საჭიროა, რომ სკოლის ხელმძღვანელნი დაუახლოვდენ და შეიგნონ მცხოვრებთა პსიხოლოგიაო. შემდეგ სხდომა შეუდგა სხვადასხვა საკითხის გარჩევას. პირველ საკითხათ თავჯდომარემ დააყენა პირველდაწყებითი სწავლის შემოღება პროვინციაში. გრაფიგნატიევმა მიუთითა ოლქის მზრუნველებს, რომ ისინი ეცადენ აქედანვე შექმნან ისეთი სახალხო მასწავლებლები, რომელნიც შეიტანენ სახალხო სკოლაში ცხოველმყოფელ სულს და კარგათ ექნებათ შეგნებული, რომ თითოეული მათგანი მაღალ დანიშნულებას ემსახურებოდა. ამისათვის გრაფი საჭიროთ სთვლის სამასწავლებლო სემინარიებსა და ინსტიტუტებში სწავლების საქმის უკეთ დაყენებას. სხვათა შორის, კრებაზე დასმული იყო საკითხი სამშობლო ენაზე სწავლების შესახებ, კრებამ დაადგინა, რომ პირველდაწყებითი სწავლა უთუოთ სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს, რომ შემდეგ ბავშს უფრო გაუადვილდეს სახელმწიფო ენის შესწავლაო.

**პარიზი.** „პეტი ჟურნალ-“ში პიშონი სწერს, საჭიროა გაიგზავნოს დარდანელში სამოქმედოთ გადარჩეული ჯარი, რომ უზრუნველგვყოს დარდანელის ჩქარა აღებისგანაო.

**ბუქარესტი.** 22 თებერვალი. სენატმა და დეპუტატთა პალატამ მიიღეს კანონპროექტი, რომლითაც მთავრობას ნება ეძლევა გამოაცხადოს საალყო წესები, როცა ამას საჭიროთ დაინახავს.

**რომი.** ჯარში მოწვეულ იქნენ უნტერ-აფიცრები 1885 და 1888 წლებისა.

## ხმა სოფლიდან.

(ძღვნათ სოფლის მღვდლებსა და მასწავლებლებს).

ვინც სოფლის დღევანდელ ყოფა-ცხოვრებას ღრმათ და სავსებით ჩაუკვირდება, ნათლათ დაინახავს იმ უნუგეშო მდგომარეობას, რომელშიაც დღევანდელი სოფელი იმყოფება. მატერიალურად დაქვეითება და კულტურული ჩამორჩენა—აი ის ორი მიზეზი, რომელიც ცუდსა და სავალალო მდგომარეობაში აყენებს სოფლის ხალხს.

მიწის სივიწროვე, განსაკუთრებით იმერეთში, დიდ უბედურებათ უნდა ჩავსთვალოთ სოფლელებისათვის. და ასეთი ცოტა მიწის მამა-პაპური წესებით დამუშავება, ძალიან მცირე ნაყოფს აძლევს მეპატრონეს, რომლის საშვალებითაც მას არ ძალუძს ნახევარ წელსაც ირჩინოს თავი. სოფლათ ძალიან იშვიათია ისეთები, რომელნიც უნდა ასრულობდენ სხვადასხვა სამეურნეო საკითხების ახსნა-განმარტებას სოფლის ხალხისათვის. რა საკვირველია, სამეურნეო ჟურნალების დახმარებით, რომელიც ჩვენდა საბედნიეროთ დღეს მოგვეპოება. სოფლის ხალხის სიღარიბეს ანვითარებს ის უადგილო ხარჯებიც, რომლის თავიდან აცილებაც იმათ იმდენ ფულს შეანარჩუნებდა, რომ შეეძლებოდათ თითქმის მთელი წლის სარჩო მოეგროვებიათ. გლეხი, რომელიც სამი თვის სარჩოსაც გაჭირვებით უყრის თავს, ადრევე ემზადება იმ დღესასწაულისთვის ანუ კარგი დღისათვის როგორც თვითონ ეძახიან, რომლის გადახდაც დიდ ვალათ აქვთ მიჩნეული და რომლის გადაუხდელობასაც დიდ სირცხვილათ სთვლიან.

სოფლის ოჯახში მოკვდება ვინმე თუ არა, მკვდრის პატრონს სჭირდება იმდენი ფული მის გასასვენებლათ, რომ მას მეორე სიკვდილი ადგება კარს: სიკვდილი მატერიალური. ამ გლეხისათვის გამანადგურებელ შემთხვევებშიაც არ გამოჩნდა ისეთი გულ შემატკივარი, რომ აეხსნას ხალხს ერთხელ და სამუდამოთ, რომ არავითარ ცოდვათ არ ჩამოერთმევათ მათ თვისი მიცვალებულის უხარჯოთ გასვენება. დაარწმუნოს ისინი (სოფლები), რომ არ იქნება დიდი უბედურობა თუ არ გადაიხდიან დღესასწაულებს, რადგან არა ჩვეულებრივი ხარჯი ისედაც ეკონომიურათ სუსტ ოჯახს ერთიანათ ასამარებს.

სოფლის კულტურულათ ჩამორჩენას მიეწერება აგრეთვე სხვადასხვა სახის ცრუმორწმუნოება, მაგალითათ, მკითხაობა, სოფლის აქიმობა, რომელსაც მძლავრი ფესვები აქვთ გადგმული მათ ცხოვრებაში.

სოფლის ზოგიერთ დედაბერთან, რომელიც დიდებულ აქიმათ ყავთ მიჩნეული, ხარჯვენ მანათებს და ხშირად მეტსაც და ფიქრობენ, მათ მიერ ბოძებული წამლით თავისი ავათმყოფის განკურნებას. მაგრამ, რადგან წამალი ძლიერ შეუსაბამოაა ავათმყოფობასთან, ამიტომ განკურნების მაგივრათ ხშირათ უდროვოთ ასალმებს წუთისოფელს ამა თუ იმ ადამიანს. აი აქაც საჭიროა კაცი, რომ აჩვენოს ხალხს სწორი გზა, მიუთითოს ნადვილ აქიმისაკენ.

— დიახ, სწორედ ასეთ დამაფიქრებელსა და უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება დღევანდელი სოფელი. თუმცა ცოტაოდენი წინსვლა დაეტყო სოფლების გაუმჯობესების მხრით, მაგრამ ასეთი კუს ნაბიჯით სიარული, ბევრს არაფერს მოგვიტანს. ხშირათ, როდესაც დავუკვირდები ხოლმე სოფლის ცხოვრების შესაზარ სურათს, ვფიქრობ, თუ ვინ გადაარჩენს ამდენ ხალხს უვიცობისა და სიღატაკის მორევისაგან, ვინ დააყენებს მათ განახლებისა და განსპეტაკების გზაზე—მეთქი?

— სად არიან ასეთ დროს სოფლის მღვდლები და მასწავლებლები—?შემეკითხება გულწრფელი აკითხველი.

მართლაც რომ საკითხავია, თუ სად არიან ამ დროს სოფლის სული და გული—მასწავლებლები და სულიერი მოძღვრები სოფლისანი.

სოფლის მღვდლები და მასწავლებლები, აი ის საძირკველი რომელთა ნაყოფიერ მოქმედებაზე სოფლის ხალხის ბედნიერება უნდა შენდებოდეს. ესენი უნდა უმარტავდენ ხალხს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე, უნდა უთითებდენ შესანიშნავ მაგალითებზე, უნდა უმტკიცებდენ ცრუ მორწმუნოებთა უშინაარსობას, და მათ გონებრივ სალაროს განვითარებისათვის უნდა ზრუნავდენ. ესენი უნდა იყვენ ხალხთან ახლოს, მათ შორის უნდა იყოს გადებული იდეური ხიდი.

არ კმარა მარტო რჯულების სწორება დახშულ ოთახებში, საჭიროა ხალხზე ზრუნვით, ნამდვილი სახალხო მასწავლებლის სახელი დაიმსახურონ საჭიროა, ხალხის პირვარამის გაზიარებით, ჭეშმარიტი მოძღვარი გახდენ. ერთი სიტყვით სოფლის მღვდლები და მასწავლებელნი არ არიან ამსრულებელნი იმ წმინდა მოვალეობისა, რომელისთვისაც არიან მოწოდებულნი. მაგრამ მიუხედავათ ასეთი მათი დაქვეითების და დაკნინებისა, ჩვენ მაინც მოუწოდებთ მათ, ასცდენ ძველ გზას, რომლითაც დღეს დადიან და კულტურულათ შეიარაღებულნი გამოვიდენ სამოქმედო ასპარეზზე, და გახდენ ის გრდემლი, რომელზეც უნდა გაიჭედოს სოფლის მომავალი ბედნიერება...

**დათ. გოცირიძე.**

## დაბა-სოფელი.

**სოფ. აბაშა** (სენაკის მაზრა). სოფ. აბაშის მეორე „საკრედიტო ამხანაგობის“ წლიურ ანგარიშის გამო, რომელიც გამოცხადებულ იყო გაზეთ „სამშობლოს“ მე 4-ე №-ში საჭიროდ ვცნობ შემდეგ განმარტებას. საზოგადოთ ყოველი დაწესებულება და მით უფრო „საკრედიტო ამხანაგობა“ წლის ბოლოს იძლევა მოქმედების დაწვრილებით წლიურ ანგარიშს, ე. ი. შემოსავალი თუ გასავალი ნათლათ უნდა აღნიშნულ იყოს რომ მკითხველს გამგეობის მოქმედებაში ეჭვი არ შეეპაროს. სოფ. აბაშის „საკრედიტო ამხანაგობის“ გამგეობამ კი ასეთი დაწვრილებითი ცნობები ვერ მოგვცა. დაკმაყოფილდა მხოლოდ შემდეგი განცხადებით:

მოგებიდან 80 მან. მიემატა ძირითად თანხას, 40—სათადარიგოს, 25 საჩუქრათ და სხვა და სხვა..

ფრიად სასურველი იქნებოდა აღენიშნა, რომ მოგების რაოდენობა წევრების მიერ სესხად აღებულ ფულების რომელი ჩამონაგლეჯ ნაწილებიდანაა შემდგარი და მასთან დღიდან „ამხანაგობის“ დაარსებისა ძირითად თანხად რა ურჩება „ამხანაგობას“; სათადარიგოს 40 მანეთის მიმატებამდის რა ჰქონდა და სხვ. ანგარიშიც ასეთივე დაუმუშავებელ დაუსაბუთებელი იყო.

საზოგადოთ კრებას აჩქარება ეტყობოდა საქმეში, რაც გამოიხატა იმაში, რომ კრებამ ბ. თავჯდომარის ირაკლი თოფურიძის ჯამაგირი 300 მანეთი, მოანგარიშის კ. თოფურიძის 120 მან. (თუმცა მეტისაც ღირსია) და ხაზინადარის მ. თოფურიასი 120 მანეთი წლიურად დამტკიცებულ იქნა კრების მიერ.

ასე რომ, ამ დღეს კრებამ მიზანს ვერ მიაღწია... და რაც კი გააკეთა, ისიც კრების დაუმტკიცებლადაც უკვე გაკეთებული იყო გამგეობის მიერ.

სიტყვა „ბანკი“ ისეთი მადის გამღვიძებული ყოფილა, რომ საბჭოს წევრებმაც კი ჯამაგირი მოითხოვეს. და როცა ეს შესრულებული არ იყო ერთმა მათგანმა წევრობას თავი დაანება.

შიმშილმა ფართო ხასიათი მიიღო. მთავრობის მიერ აღთქმულ შემწეობას ელოდა სოფელი, მაგრამ ჯერჯერობით დაპირება დაპირებათ რჩება. დღევანდელი გარემოებით ძალიან სარგებლობენ აღგილობრივი მედუქნეებიც: გასამკეცებულ ფასს ახდევინებენ ყველაფერში ისედაც გაძვალტყავებულ მცხოვრებთ.

თუთხმეტ წელზე მეტია, რაც სოფ. აბაშა კვათანის საზოგადოების სასარგებლოთ იხდის 520 მანეთს წელიწადში. ამის გამო ბევრი საჩივარი იყო აღძრული მთავრობის წინაშე. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, მთავრობამ ამ ფულების გადახდისაგან გაანთავისუფლა აბაშის საზოგადოება. ახლა სოფლის ზოგიერთი მადა გაღვიძებული პირი სხვანაირად ოინბაზობს: თუ ერთი წლის გადასახადს მე მომცემთ, სოფელს სამუდამოთ მოვხსნი ამ ფულსო. შესაძლებელია ამ ვაჟბატონებმა სოფელს ფული დასტყუონ მართლაც და საქმე კი უკვე გაკეთებულია.

აბაშელებზეა გამოჭრილი ხალხური ანდაზა: „გლეხი ცხვარია და ყველა პარსავს, სოფელი უპატრონოა და ყველა სტანჯავსო“. იმედია, აბაშის საზოგადოება აწ მაინც ფხიზლათ მოეკიდება თავის შინაურ საქმეებს.

**წიწმატი.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

ჩვენ ქართველები—დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცები ესენტუკის . მეექვსე და მეშვიდე ლაზარეთიდან მადლობას ვწირავთ თედორე სიმონის ძე იმედაძეს და მის მეუღლეს ეკატერინეს იმ სტუმართმოყვარეობისა და თანაგრძნობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს ჩვენდამი. მათ უსაზღვრო მზრუნველობამ ჩვენ ჯარში მყოფი ჯარისკაცები სულიერათ გაგვამხნევა.

**ისიდორე სულამანიძე.**

**ბ-ნო რედაქტორო!**

გთხოვთ მოათავსოთ შესწორება თქვენს გაზეთში. „სამშობლოს“ მე 5-ე №-ში ცოტა განსხვავებულია: ჩემს წერილში იყო ნათქვამი, რომ ამხანაგობას ყავს 393 წევრი და არა 343, რომ მათ გორდეზიანს, მოსიძეს, ერისთავსა და ბერიშვილს ხვდათ 42 მანეთი და გორდეზიანმა ირგო აქედგან 22 მანეთი და არა 64 მ., 64 მანეთი შარშან ერგო გორდეზიანს, და არა წელს.

**კ. წულუკიძე.**

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ.

ამერიკული მწარე ვაზი (rupestris)

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასათ, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში.

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. ქარსევანიშვილის თხზულება „Поэтъ Грузіи Акакіи“ 10 კ.

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

**სავაჭრო სახლი სამანუფაქტურო და გალანტერეის საქონლის**
**ფ. დ. ერქომაიშვილი და ა—ბის**
ომიანობის გამო ქალაქ სუხუმიდან გადმოვიდა **ქუთაისში.** სავაჭრო გაიხსნა თფილისის ქუჩა და საკათედრო მოედნის კუთხეში, რიჟინაშვილის ახალ შენობაში, ქალაქის აფთიაქის პირდაპირ.
**გვაქვს მიღებული მრავალი ახალი მოდის სასეზონო საქონელი.**
საქონელი იყიდება ხელმისაწდომ ფასებში.
პატივის ცემით: **ფ. ერქომაიშვილი და ა—ბა.** 12—5

ქუთაისში
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი საბუღალ. კურსები
**გ. გ. გიგინეიშვილისა.**
1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე—პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში. **კურსი ათთვიანია.**
**სწავლის ფული ასი მან.**
თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).
კურსების გამგე **გ. გ. გიგინეიშვილი.** თ.

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ. ყოველკვირეულ სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ**
„თეატრი და ცხოვრება“-ზე.
ჩვეულებრივის პროგრამით ივ. გომართლისა და იოს. იმედაშვილის რედაქციით.
**ფასი:** წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.
ხელისმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში, „ცოდნას“ წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან.
მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да цховреба“ Іосифу Имедашвили
რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

## მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია ქუთაისის საათით).

**ქუთაისში მოდის:**

| | |
|---|---|
| **თფილისიდან** | 5 ს. 50 წ. დილ. |
| | 11 ს. 30 წ. ღამ. |
| **ბათომიდან** | 10 ს. 5 წ. დილ. |
| | 2 ს. 23 წ. ღამ. |
| **ფოთიდან** | 10 ს. 30 წ. დილ. |

**ქუთაისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| **თფილისში** | 7 ს. 55 წ. დილ. |
| | 1 ს. 7 წ. ღამ. |
| **ბათომში** | 10 ს. 7 წ. საღამ. |
| | 4 ს. 27 წ. დილ. |
| **ფოთში** | 4 ს. 14 წ. დღ. |

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან — სტრამბე-ელექტრო სტამბა ა. ი. ქორქაძისა—ქუთაისში. — რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.